ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 104

ქ. თეთრიწყარო 10 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდეგში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ი.მ. „ზვიადი სუხიტაშვილი" (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დიდგორობის სადღესასწაულო ღონისძიებაზე, გასამართ სპორტულ ღონისძიებებში (ქართულ ჭიდაობასა და დოღში) გამარჯვებულთათვის გადასაცემად ცხვრის (ყოჩის) /03322100-CPV/ შესყიდვა. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად. (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის 71 განკარგულება).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 400 (ორას ორმოცდაათი) ლარს დღგ-ს გარეშე.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:
3.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 12 აგვისტოს 10[00] საათამდე უზრუნველყოს ორი ცალი (თითოეული არანაკლებ 15 კგ-ისა) ჯანმრთელი ცხვრის (ყოჩის) მიწოდება შემსყიდველისათვის.
3.2. შემსყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის შემოწმებისას წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი ახლით შეცვლა.

"შემსყიდველი" ვალდებულია:
3.3. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საქონლის დროულად მიწოდებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განახორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 დღის ვადაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ის ოდენობით.
5.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 50%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიწოდების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორულ გარემოებათა ზეგავლენისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება შეწყვეტის შესახებ.

8.4.მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

8.5.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

– მხარეთა შეთანხმებით;

– ფორს-მაჟორული სიტუაციით;

– ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - ვაჟა სულხანიშვილი.

10.2 მიწოდებული საქონლის ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

MUNICIPALITY
* 230869

11. დავის გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 10 აგვისტოდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი".
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	ინდ. მეწარმე "ზვიადი სუხიტაშვილი"
ქ. თეთრიწყარო თამარ მეფის ქ .№34	თეთრიწყარო ს. ჯორჯიაშვილი
ს/კოდი: 230869254	ს/კ 22001009668
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE78LB01121234124288000
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს
ბ/კოდი TRESGE22	თეთრიწყაროს ფილიალი
	ბ/კოდი LBRTGE22 (220101428)

14. მხარეთა ხელმოწერები

ბესიკ წიკლაური	ზვიადი სუხიტაშვილი
მუნიციპალიტეტის გამგებელი	ინდივიდუალური მეწარმე